



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-87.87213371

თარიღი:03/12/2021

განკარგულება №38

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების შედეგად არჩეული ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების ცნობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ცნობილი იქნეს 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შედეგად არჩეული ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილება - ახმეტის №18 საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი ერთიანი სიის მიხედვით (დანართი №1).
2. ამ განკარგულების მიღების მომენტიდან უფლებამოსილება უწყდებათ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების შედეგად არჩეული ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს - თანდართული სიის მიხედვით (დანართი №2).
3. განკარგულება გაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას ინფორმირების მიზნით, აგრეთვე გამოქვეყნდეს მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე და საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე.
4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. №41).

თამაზ ბორჩაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
უხუცესი წევრი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

